სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

28/07/2026

MES 6 26 0000986136

ბრძანება

თბილისი

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართვეელოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N982333, 28.07.2026) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის შესახებ კრებსითი ინფორმაციის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის მონაწილეების პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) სამეცნიერო დეპარტამენტის კოორდინატორი - მარიამ ბეციაშვილი და ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის სპეციალისტი - ანა ფოლოდაშვილი;
8. დაევალოს ფონდის საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

9. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი
გენერალური დირექტორი
დოჭვირი თეიმურაზ

თ. დოჭვირი

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 28 ივლისის №986136 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის პირობები

მუხლის 1. ზოგადი დებულებები

1. ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის დაფინანსება ხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს ფონდი.

2. ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის“ საგრანტო კონკურსის პირობები არეგულირებს საგრანტო კონკურსის გამართვის, საკონკურსო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშგების მონიტორინგის საკითხებს.

3. კონკურსის მიზნებია:

   ა) საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;

   ბ) ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში;

   გ) საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევითი კონსორციუმების ჩამოყალიბება, მრავალმხრივი, მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში ფინანსდება კვლევითი პროექტები ოქსფორდის უნივერსიტეტის ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლის, რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის კვლევების განყოფილების ყველა სამეცნიერო მიმართულებაში, რომელიც ეხება საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით შემდეგ დარგებს: ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ისტორია, ხელოვნება, რელიგია, საზოგადოება და კულტურა, ასევე, ბოდლეინის ბიბლიოთეკაში, ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევას.

2. ფონდსა და ოქსფორდის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად (Letter of Agreement "Visiting Scholars – Georgian Studies Programme"), კონკურსი ითვალისწინებს არაუმეტეს ორი მკვლევრის დაფინანსებას, რომელთაგანაც ერთი მკვლევარი შეირჩევა - სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების მიმართულებიდან, მეორე კი - ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევების მიმართულებით.

3. სოციალური და ჰუმანიტარული კვლევების მიმართულებით კონკურსში გრანტის მოპოვების მიზნით, პროექტი უნდა წარმოადგინოს საქართველოს მოქალაქე, ფიზიკურმა პირმა, რომელსაც კვლევის შესაბამის სამეცნიერო მიმართულებაში მინიჭებული აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი პროექტის განხორციელების დაწყებამდე ბოლო 7 წლის განმავლობაში (2020 წლის 1 იანვრიდან), ხოლო უორდროპების კოლექციის კვლევების მიმართულებით - საქართველოს მოქალაქე ფიზიკურმა პირმა, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

4. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტი უნდა ითვალისწინებდეს 12 თვის ხანგრძლივობის კვლევით ვიზიტს ოქსფორდის უნივერსიტეტში.

5. კვლევითი ვიზიტი უნდა დაიწყოს 2027 წლის იანვარში.

6. კვლევითი ვიზიტის ფარგლებში:

   ა) გრანტის მიმღებ მკვლევარს უნდა ჰყავდეს ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ შერჩეული მენტორი.

   ბ) გრანტის მიმღებმა მკვლევარმა მონაწილეობა უნდა მიიღოს ოქსფორდის უნივერსიტეტში გამართულ ღონისძიებებსა და სემინარებში.

   გ) გრანტის მიმღებ მკვლევარს უფლება აქვს მენტორთან შეთანხმებით მონაწილეობა მიიღოს, როგორც მომხსენებელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის გარეთ ნებისმიერ ქვეყანაში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში პროექტით დაგეგმილი კვლევის შედეგების გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნებისათვის.

   დ) გრანტის მიმღებ მკვლევარს უფლება აქვს მენტორთან შეთანხმებით განახორციელოს, ოქსფორდის უნივერსიტეტის გარეთ, ნებისმიერ ქვეყანაში, საველე სამუშაოები პროექტით დაგეგმილი კვლევის მიზნებისათვის.

7. კონკურსის გამარჯვებულმა „მიწვეულმა მკვლევარმა" უნდა გააფორმოს ხელშეკრულება ოქსფორდის უნივერსიტეტთან კვლევითი პროექტის განხორციელების პერიოდზე.

მუხლი 3. დაფინანსება

1. კონკურსის შედეგად შესაძლოა დაფინანსდეს 2 კვლევითი პროექტი, აქედან ერთი პროექტი - სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში და მეორე პროექტი - ბოდლეინის ბიბლიოთეკის (Bodleian Library, University of Oxford) არქივში ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციაზე მუშაობისათვის.

2. თითოეული კვლევითი პროექტისთვის ფონდის საგრანტო დაფინანსება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათას) დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტს ლარში.

3. თითოეული მკვლევარისათვის საგრანტო დაფინანსება მოიცავს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:

ა) მიწვეული მკვლევარის სტიპენდია - 20 000 (ოცი ათასი) დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში;

ბ) პროექტის განხორციელების ადმინისტრაციული ხარჯი - 10 000 (ათი ათასი) დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში.

4. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, გრანტის მიმღებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სტიპენდიის თანხის ჩარიცხვა ხდება გრანტის მიმღების მიზნობრივ ანგარიშზე ვიზიტის დაწყებამდე, ხოლო ადმინისტრაციული ხარჯებისათვის საჭირო თანხა ირიცხება ოქსფორდის უნივერსიტეტის ანგარიშზე;
5. სტიპენდიის ფარგლებში მკვლევარმა უნდა უზრუნველყოს კვლევით ვიზიტთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯი, რომელიც აღიარდება მიზნობრივ ხარჯად ოქსფორდის უნივერსიტეტში კვლევის დასრულების შესახებ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე.
6. ოქსფორდის უნივერსიტეტში ჩარიცხული ადმინისტრაციული ხარჯი მოხმარდება მიწვეული მკვლევრისთვის უნივერსიტეტის მასპინძელ დაწესებულებაში სამუშაო ადგილის გამოყოფას, კვლევითი და საგანმანათლებლო რესურსების წვდომას და უნივერსიტეტის მიერ შერჩეულ მენტორთან თანამშრომლობას. აღნიშნული ხარჯი აღიარდება ინვოისის საფუძველზე თანხის გადარიცხვისთანავე.

მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონულად უნდა დაარეგისტრიროს პროექტი და წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) კრებსითი ინფორმაცია პროექტის შესახებ (ნიმუში - დანართი 2, ივსება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს ქართულ და ინგლისურ ენებზე);

   ბ) სარეკომენდაციო წერილები 3 რეკომენდატორისაგან (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

   გ) საპროექტო წინადადება (დანართი 3 - იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით ქართულ და ინგლისურ ენებზე);

   დ) პროფესიული ბიოგრაფია (CV) (ნიმუში - დანართი 4, ივსება და იტვირთება GMUS-ში ქართულ და ინგლისურ ენებზე);

   ე) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი. თუ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთოდეს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი, გაცემული „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში PDF დოკუმენტის სახით.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის აპლიკანტმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს ხელმოწერით დამოწმებული „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (ნიმუში - დანართი 5, გენერირდება GMUS-იდან).
3. საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

მუხლი 5. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში პროექტის რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) ელექტრონული რეგისტრაცია – 2026 წლის 25 აგვისტოს 16:00 საათამდე;

   ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2026 წლის 4 სექტემბრის 18:00 საათამდე.

2. **ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას GMUS-ში შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

   ა) კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა.

   ბ) კონკურსზე პროექტის რეგისტრაცია, კრებსითი ინფორმაციის შევსება და საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვა (იხ. კონკურსის პირობების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები).

3. **ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი** გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში კონკურსის პირობების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილი აქვს შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

5. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი რომელიც წარმოდგენილია კონკურსის მიზნებთან შეუსაბამოდ, ან წარმოდგენილია არასრულად, ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას, ან წარმოდგენილია დადგენილი ფორმებისა და ვადების დარღვევით.

6. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 6. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპები

1. კონკურსის ადმინისტრირების ეტაპებია:

   ა) კონკურსის გამოცხადება;

   ბ) საგრანტო პროექტების რეგისტრაცია;

   გ) რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან შესაბამისობის დადგენა;

   დ) პროექტების შეფასება ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი კომისიის მიერ (საგრანტო განაცხადის შეფასება, გასაუბრება);

   ე) კომისიის შეფასების საფუძველზე გამარჯვებული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცება;

   ვ) საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება და გრანტის გაცემა;

2. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებშიც დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად.

მუხლი 7. პროექტების შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა

1. პროექტებს აფასებს ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი საკონკურსო კომისია.

2. პროექტების შეფასება ხორციელდება ორ ეტაპად:

   ა) ეტაპი 1 - საკონკურსო განაცხადის შეფასება;

   ბ) ეტაპი 2 - გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

3. შეფასების ორივე ეტაპზე კომისია ხელმძღვანელობს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

კრიტერიუმი	შეფასება
1. კვლევითი პროექტის თემატიკის შესაბამისობა მასპინძელი სკოლის კვლევის სფეროებთან	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5
2. გამორჩეული კვლევა	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5
3. სამეცნიერო ეფექტიანობა	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5
4. მიწვეული მკვლევრის კომპეტენცია	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5
5. განხორციელებადობა	მინიმუმ 1 მაქსიმუმ 5
ჯამური ქულა	მინიმუმ 5 მაქსიმუმ 25 ქულა

4. შეფასების პირველ ეტაპზე თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით (1-5), ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 25 ქულა. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	შეფასება
5	საუკეთესო
4	ძალიან კარგი
3	კარგი
2	დამაკმაყოფილებელი
1	სუსტი

5. შეფასების მეორე ეტაპზე გადასვლისათვის აუცილებელი პირობაა შეფასების პირველ ეტაპზე პროექტმა მიიღოს 3 ან მეტი ქულა თითოეულ კრიტერიუმში.

6. მეორე ეტაპის შეფასების საფუძველზე კომისია ადგენს რანჟირებულ სიას, ადგენს გამარჯვებულებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფონდის გენერალურ დირექტორს.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებული პროექტის წარმდგენ მეცნიერთან.

2. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი

1. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშს ფონდი რიცხავს ავანსის სახით.
2. ფონდი ახორციელებს დაფინანსებული პროექტების საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს (შემდგომში - მონიტორინგი), რომლის დროსაც განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.
3. მონიტორინგის მიზნებისათვის გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდს წარუდგინოს პროექტის განხორციელების ანგარიში ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმით.
4. გრანტის მიმღები ვალდებულია ფონდში წარადგინოს შუალედური ანგარიში კვლევითი ვიზიტის დასრულებიდან არაუგვიანეს 30 დღისა, ხოლო საბოლოო ანგარიში კვლევითი ვიზიტის დასრულებიდან 1 წლის განმავლობაში.
5. პროგრამული და ფინანსური მონიტორინგის წესი დეტალურად განისაზღვრება ფონდსა და გრანტის მიმღებს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით.
6. ფონდის გენერალური დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს პროექტის განხორციელების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმებს;
7. შუალედური და საბოლოო ანგარიშის განხილვისას საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში გრანტის მიმღებს განესაზღვრება ხარვეზის გამოსწორების გონივრული ვადა. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება შესაძლებელია გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. მოთხოვნილი ცვლილება უნდა იყოს დაკავშირებული პროექტით გათვალისწინებულ მიზნებსა და ამოცანების შესრულებასთან.

მუხლი 10. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის N156/ნ ბრძანების მე-15 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ

გრანტის მიმღები ვალდებულია, საგრანტო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში განახორციელოს ქვემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან ერთ-ერთი:

1. ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად ან თავიანთი უშუალო მენტორის თანაავტორობით გამოაქვეყნოს ორი სამეცნიერო სტატია რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში. თუ გამოქვეყნება სცდება 2 წელს, ამ შემთხვევაში მისაღები იქნება წარმოადგინოს ცნობა, რომ სტატია მიღებულია და ჩაშვებულია გამოსაქვეყნებლად და სტატიის PDF ვერსია. მკვლევრების ნაშრომები უნდა იყოს გაგზავნილი და მიღებული იმ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია შემდეგ რეიტინგებსა და

ბაზებში: Scimago Journal Ranking, ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus ბაზებში.

2. ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში გამოაქვეყნოს მონოგრაფია საქართველოში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო საბჭოს დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მონოგრაფიის გამოცემის თარიღი გადააჭარბებს 2 წლიან ლიმიტს, მისაღები იქნება გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის წერილი, რომელიც ადასტურებს, რომ მონოგრაფია მიღებულია და ჩაშვებულია გამოსაცემად. გრანტის მიმღები ვალდებულია გამოქვეყნებულ მონოგრაფიასთან ერთად ფონდში წარმოადგინოს მონოგრაფიის PDF ვერსია.

3. მოწვეული მკვლევარისთვის, რომელიც მუშაობს ბოდლეინის კოლექციაზე აღიარებულია, რომ კვლევის მნიშვნელოვანი შედეგები მოიცავს ნაკლებად ტრადიციულ შედეგებს მათ შორის გამოფენებს, სპექტაკლებს, ციფრულ და ვიზუალურ მედიას და ვებ-კონტენტს. ორიგინალური კვლევების შემცველი სამუშაოს პორტფოლიოს გარდა კვლევითი ვიზიტის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში, მოწვეული მკვლევარი ვალდებულია ერთი რეცენზირებული სამეცნიერო (ინგლისურ ენაზე) ნაშრომის, როგორც წიგნის თავის სახით გამოქვეყნებაზე.

4. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ) (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სავალდებულოა, მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [grant number …]“.

5. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით”.

6. ფონდი უფლებამოსილია გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

7. ოქსფორდის უნივერსიტეტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს მოწვეული მკვლევრის შესახებ, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ოქსფორდის მიერ დამტკიცებული საველე პერიოდისა და სამეცნიერო ღონისძიებების დეტალების შესახებ, რომელსაც ადგილი ექნება ოქსფორდის გარეთ. თითოეული მენტორი ანგარიშში შეიტანს მკვლევრის დახასიათებას.

8. მკვლევრებს მოეთხოვებათ ჩაატაროს თავისი კვლევის პრეზენტაცია საჯარო სემინარზე, მათი ოქსფორდში ვიზიტის განმავლობაში.

9. ამ მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები ეხება ჰუმანიტარულ-სოციალური მიმართულებების მეცნიერებს, ხოლო მესამე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებები კი მარჯორი და მარგარეტ უორდროპების მიმართულების მეცნიერებს.

დანართი №2

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 28 ივლისის №986136 ბრძანებით

ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში (Grants Management Unified System)
პროექტის რეგისტრაციის დროს

კრებსითი ინფორმაცია

1	პროექტის სათაური (ქართულად)	
	Project title (ENG)	
2	კვლევის მიმართულება Research direction	□ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები / Social Sciences and Humanities □ ბოდლეინის ბიბლიოთეკაში ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევა / Study of the Oliver and Marjory Wardrop Collection at the Bodleian Library
3	საპროექტო წინადადება (ქართულად)	PDF ფაილის ატვირთვა
	Project proposal (ENG)	PDF file upload
4	☐	ვეთანხმები კონკურსის პირობების მეთერთმეტე მუხლით დადგენილ ვალდებულებებს და თანახმა ვარ შევასრულო ამავე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან ერთ-ერთი I hereby agree to the obligations established under Article 11 of the Call Guidelines and express my consent to comply with and fulfill one of the obligations stipulated by this Article.
5	დაგეგმილი კვლევითი ვიზიტის ფარგლებში მისაღები სავალდებულო შედეგის შესრულება (მინიმუმ ერთის მონიშვნა სავალდებულოა)	□ **კონკურსის პირობების მე-11 მუხლის პირველი ქვეპუნქტი:** ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის (სტატია, მონოგრაფია, თავი წიგნში) გამოქვეყნება დამოუკიდებლად ან შესაბამის მენტორთან ერთად რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში (Scimago Journal Ranking, ან/და Elsevier (Scopus და Science Direct), Clarivate (Web of Science), ERIH plus ბაზებში). □ **კონკურსის პირობების მე-11 მუხლის მეორე ქვეპუნქტი:** ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში მონოგრაფიის გამოქვეყნება საქართველოში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო სამეცნიერო საბჭოს დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე. □ **კონკურსის პირობების მე-11 მუხლის მესამე ქვეპუნქტი:** მოწვეული მკლევარისთვის, რომელიც მუშაობს ბოდლეინის კოლექციაზე, ორიგინალური კვლევების შემცველი სამუშაოს პორტფოლიოს გარდა სტიპენდიის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში ერთი რეცენზირებული სამეცნიერო (ინგლისურ ენაზე) ნაშრომის, როგორც წიგნის თავის სახით გამოქვეყნება.

6	რეკომენდატორები[1] Reference				
N	სახელი, გვარი (Name, Surname)	სამუშაო ადგილი Place of employment	ტელეფონი Telephone number	ელ. ფოსტა Email address	სარეკომენდაციო წერილი Letter of recommendation
1					
2					
3					

მიწვეული მკვლევარი

7	პირადი ნომერი ID number	
8	მკვლევარი (სახელი, გვარი)	
	Researcher (Name, Surname)	
9	დაბადების თარიღი Date of birth	
10	სქესი	
	Sex	
11	აკადემიური ხარისხი	
12	Academic degree	
13	ხარისხის მინიჭების თარიღი Date awarded	
14	ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი Degree Certificate	PDF ფაილის ატვირთვა
15	მისამართი	
	Address	
16	ელ. ფოსტა E-mail	
17	ტელეფონი Telephone	
18	პროფესიული ბიოგრაფია CV (ქართულად)	PDF ფაილის ატვირთვა
	CV (ENG)	PDF file upload

[1] აუცილებელია 3 რეკომენდატორის მითითება

დანართი №3

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 28 ივლისის №986136 ბრძანებით

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამა

საპროექტო წინადადება

საპროექტო წინადადების მოცულობა მაქსიმუმ 1800 სიტყვა. ხაზებსა და პარაგრაფებს შორის დაშორება - 1.15. შრიფტი – Sylfaen or Times New Roman, შრიფტის ზომა 11.

1	**მკვლევარი (სახელი, გვარი)**	
2	**პროექტის სათაური**	
3	**კვლევის სფერო**	□ სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები □ ბოდლეინის ბიბლიოთეკაში ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევა
4	**დაგეგმილი კვლევითი ვიზიტის ფარგლებში მისაღები სავალდებულო შედეგის შესრულება**	□ **კონკურსის პირობების მე - 11 მუხლის პირველი ქვეპუნქტი:** ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით ერთი სამეცნიერო პუბლიკაციის (სტატია, მონოგრაფია, თავი წიგნში) გამოქვეყნება დამოუკიდებლად ან შესაბამის მენტორთან ერთად რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში. (Scimago Journal Ranking; Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science და ERIH plus.) □ **კონკურსის პირობების მე-11 მუხლის მეორე ქვეპუნქტი:** ვიზიტის დაწყებიდან 2 წლის განმავლობაში მონოგრაფიის გამოქვეყნება საქართველოში შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო სამეცნიერო საბჭოს დასკვნისა და რეკომენდაციის საფუძველზე. □ **კონკურსის პირობების მე-11 მუხლის მესამე ქვეპუნქტი:** მოწვეული მკლევარისთვის, რომელიც მუშაობს ბოდლეინის კოლექციაზე, ორიგინალური კვლევების შემცველი სამუშაოს პორტფოლიოს გარდა სტიპენდიის დაწყებიდან ორი წლის განმავლობაში ერთი რეცენზირებული სამეცნიერო (ინგლისურ ენაზე) ნაშრომის, როგორც წიგნის თავის სახით გამოქვეყნება.

გამორჩეული მეცნიერება

ა. კვლევითი ვიზიტის თემატიკა და მიზნები

(წარმოადგინეთ კვლევის თემატიკა, მიზანი და ამოცანები; დაასაბუთეთ კვლევის აქტუალობა, მისი შესაბამისობა მასპინძელი სკოლის კვლევით მიმართულებებთან და კვლევითი ვიზიტის განხორციელების აუცილებლობა აღნიშნულ დაწესებულებაში. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 500.)

ბ. კვლევის სიახლე, დიზაინი და მეთოდოლოგია

(აღწერეთ კვლევის სიახლე და სამეცნიერო ღირებულება; წარმოადგინეთ კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია; დაასაბუთეთ შერჩეული მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზნებთან და მიუთითეთ მათი უპირატესობები და შესაძლო შეზღუდვები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 400.)

გ. მოსალოდნელი შედეგები და სამეცნიერო ეფექტიანობა

(აღწერეთ კვლევითი ვიზიტის მოსალოდნელი სამეცნიერო შედეგები, მათი მნიშვნელობა და გავლენა შესაბამის სფეროზე; განმარტეთ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივები, დაგეგმილი პუბლიკაციები და კვლევის სხვა მოსალოდნელი შედეგები. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 300.)

დ. კვლევითი ვიზიტის განხორციელების გეგმა

(წარმოადგინეთ კვლევითი ვიზიტის ძირითადი ეტაპები, ამოცანები, აქტივობები, შესრულების ვადები და მოსალოდნელი შედეგები. სამუშაო გეგმა უნდა იყოს რეალისტური და შეესაბამებოდეს წარმოდგენილ მიზნებსა და მეთოდოლოგიას. შეავსეთ ცხრილი. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 300.)

№	ამოცანა	ამოცანის შესრულებისთვის განსახორციელებელი აქტივობები

მიწვეული მკვლევრის მოკლე ბიოგრაფია

(დაასაბუთეთ მიწვეული მეცნიერის ცოდნის, გამოცდილებისა და ექსპერტიზის შესაბამისობა კვლევითი ვიზიტის მიზნებსა და ამოცანებთან. სიტყვების რეკომენდებული რაოდენობა – 300. შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მიწვეული მეცნიერის CV).

Annex №3

Call for SRNSFG – University of Oxford
Georgian Studies Research Programme
(UO GSP)

Project Proposal

Overall length of the project proposal is maximum 1800 words. Line and paragraph spacing - 1.15. Font – Sylfaen or Times New Roman, size 11.

1	**Researcher (Name, Surname)**	
2	**Project Title**	
3	**Research Field**	□ Social sciences and Humanities □ Research of the Oliver and Marjory Wardrop's collection of the Bodleian Library
4	Accomplishing obligatory results within the framework of a planned research visit	□ Article 11, first paragraph of the terms of the call: within 2 years from the beginning of the visit, one scientific publication (article, monography, chapter in a book) based on the research materials provided by the project, to published idependently or with co-authored by the mentor in peer-reviewed and cited publications. (Scimago Journal Ranking, Elsevier (Scopus and Science Direct), Web of Science and ERIH plus.) □ Article 11, second paragraph of the terms of the call: within 2 years from the beginning of the visit, to publish one scientific article, which will be approved and recommended by scientific council of their respective academic institution. □ Article 11 third paragraph of the terms of the call: For the invited researcher working on the collection of the Bodleian Library, in addition to the portfolio of original research work, publish one peer-reviewed scientific paper (in English) as a chapter of the book within two years from the start of the scholarship.

Excellent Science

A. Research Visit Topic and Objectives

(Present the research topic, aim, and objectives; justify the relevance of the research, its alignment with the host school's research areas, and the necessity of conducting the research visit at the host institution. Recommended length: 500 words.)

B. Research Novelty, Design, and Methodology

(Describe the novelty and scientific value of the research; present the research design and methodology; justify the suitability of the selected methods in relation to the research objectives and indicate their advantages and potential limitations. Recommended length: 400 words.)

C. Expected Outcomes and Scientific Impact

(Describe the expected scientific outcomes of the research visit, their significance, and their impact on the relevant field; explain the prospects for developing international collaboration, planned publications, and other anticipated research outputs. Recommended length: 300 words.)

D. Research Visit Implementation Plan

(Present the main stages of the research visit, objectives, activities, implementation timeline, and expected outcomes. The work plan should be realistic and consistent with the proposed objectives and methodology. Complete the table. Recommended length: 300 words.)

Research Visit Implementation Schedule

(Complete the table. Add or delete rows as necessary.)

№	Task	Activities for accomplishemnt of the task

Short Biography of the Invited Researcher

(Brief explanation of the researcher's expertise and experience in relation to the project objectives. Recommended word count: 300. The researcher's CV will also be taken into account during the evaluation.)

პირადი ინფორმაცია

პირადი ნომერი:

სრული სახელი:

სქესი:

დაბადების თარიღი:

მოქალაქეობა:

საკონტაქტო ინფორმაცია

ელ.ფოსტა:

მობილურის ნომერი:

ქვეყანა:

ქალაქი:

მისამართი:

ენები

ენა	წერა	კითხვა	მეტყველება

განათლება

უმაღლესი აკადემიური ხარისხი/სტატუსი

აკადემიური ხარისხი/სტატუსი:

მინიჭების თარიღი:

მიღებული განათლება

აკადემიური ხარისხი/ სტატუსი	დაწესებულების დასახელება	ქვეყანა	სპეციალობა	დაწყების წელი	დასრულების წელი

ტრენინგები/სემინარები/სასწავლო კურსები

ორგანიზაციის დასახელება	ტრენინგის / სემინარის / სასწავლო კურსის თემა	დაწყების წელი	დასრულების წელი

პროექტები

მიმდინარე პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დონორი

დასრულებული პროექტები

პროექტის დასახელება	პოზიცია	პროექტის ხელმძღვანელი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	დონორი

სამეცნიერო მიმართულებები

ძირითადი მიმართულებები

მიმართულება:

ქვე-მიმართულება:

კატეგორია:

დასაქმების ისტორია

მიმდინარე სამუშაო ადგილ(ებ)ი

სამუშაო ადგილი	სტრუქტურული ერთეულის დასახელება	თანამდებობა	მოვალეობები	დაწყების თარიღი

სამეცნიერო პროდუქტიულობა

პატენტები

დასახელება	გამცემი ორგანიზაცია	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სხვა პროდუქტები

პროდუქტის ტიპი	სარეგისტრაციო ნომერი	გაცემის წელი

სტატია / მონოგრაფია / სახელმძღვანელო

ტიპი	ავტორ(ებ)ი	სათაური	ჟურნალი	წელი

სტიპენდიები და ჯილდოები

სტიპენდიის/ჯილდოს დასახელება	გამცემი	მიღების წელი

სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა

სამეცნიერო ფორუმის დასახელება	მოხსენების სათაური	ჩატარების ადგილი	წელი

პროდუქტიულობის მაჩვენებელი

#	ციტირების ინდექსი	h-ინდექსი
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

Annex 4

Personal information

ID Number:

Full name:

Gender:

Date of birth:

Citizenship:

Contact Details

Email address:

Call number:

Country:

City:

Address:.

Languages

Language	Writing	Reading	Speaking

Education

Academic degree

Academic Degree:

Year obtained:

Education

Academic Degree	Name of the Institution	Country	Major discipline	Start year	End year

Trainings / Seminars / Training courses

Training / Seminar / The theme of the course	Organization name	Start year	End year

Projects

Ongoing projects

Project title	Position	Project head	Start Date	Donor

Completed projects

Project title	Position	Project head	Start Date	End Date	Donor

Scientific Fields

Main Field

Field:

Sub-Field:

Subject area:

Employment History

Current place(s) of employment

Workplace	Name of the work department	Position	Main responsibilities	Start Date

Scientific Productivity

Patents

Patent name	Issuing organization	Registration number	Year of Issue

Other products

Product Type	Registration number	Year of Issue

Article / Monograph / Manual

Type	Authors	Publication title	Source title	Year

Scholarships and awards

Scholarships/awards name	Issuer	Year of Issue

Participation in scientific events

Scientific event name	Title of the presentation	Event venue	Year

Productivity index

#	Citation index	h-index
Google Scholar		
Web-of-Science		
Scopus		

დანართი № 5

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 28 ივლისის №986136 ბრძანებით

განცხადება

წარმოგიდგენთ ინფორმაციას სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის შესახებ და ვადასტურებ, რომ გავეცანი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 ნოემბრის №156/ნ ბრძანებასა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2026 წლის 28 ივლისის №986136 ბრძანებას „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“.

ხელმოწერით ვაცხადებ თანხმობას აღნიშნული კონკურსის პირობებზე. ასევე, ვადასტურებ, რომ ფონდის ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ვაცნობიერებ, რომ ფონდი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში პროექტი მოხსნას კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვარ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, დაარეგისტრიროთ პროექტი ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის 2026 წლის საგრანტო კონკურსში.

1	პროექტის შიფრი	
2	განმცხადებლის სახელი, გვარი ქართულად	
	განმცხადებლის სახელი, გვარი ინგლისურად	
3	პროექტის სათაური ქართულად	
	პროექტის სათაური ინგლისურად	
4	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	
5	პროექტის ხანგრძლივობა	

განმცხადებლის ხელმოწერა:

თარიღი: